ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 2

დ. ასპინძა 14 თებერვალი 2019 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრის

დირექტორი მერაბ ნარიმანიძე; ს/კ 423098392

(შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა მეფე თამარის ქ№3

და მეორე მხრივ შპს „იბერკომპანი", დირექტორი თინათინ ენუქიძე; ს/კ 231963818

(შემდგომში მიმწოდებელი). დ. ასპინძა, ვარძიის ქ№97

მათ შორის მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.1. **CPV 09100000**. საწვავის შესყიდვა

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებაა 1050 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი.

3. სამუშაოების შესრულების ეტაპები და ვადები.

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 14 თებერვლიდან.
3.2 ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.

4. მიღება-ჩაბარების წესი.

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

5.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

6 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდოდ.
6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება უნაღდო ანგარიშსწორებით, „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე - არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნები.

8 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. თუ მიმწოდებელი მე-3.1. მუხლის მოთხოვნებს არღვევს თავისი მიზეზით, ვალდებულია შემსყიდველს აცნობოს დაუყოვნებლის და გონივრულ ვადაში.
8.2. მე-8.1 მუხლის შედეგად შემსყიდველის ინტერესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9 ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების

შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების პროცესში.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულებების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესახებ არაუგვიანეს 3 დღისა.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მიღებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი: ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრის
დირექტორი მ. ნარიმანიძე

ხელმოწერა .....

Non-Entrepreneur (non-commercial) legal entity Aspindza Melioration and Village Drinking Water Center

Digitally signed by Non-Entrepreneur (non-commercial) legal entity Aspindza Melioration and Village Drinking Water Center
Date: 2019.02.14 12:25:04 +04'00'

საბანკო რეკვიზიტები:
ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი
საინდიფიკაციო კოდი 423098392
ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი TRESGE22
სახ/ხაზინა GE24NB0330100200165022

ბ.ა.

მიმწოდებელი: შპს „იბერკომპანი“
დ. ასპინძა, ვარძიის ქ№97

Tinatin Enukidze

Подписано цифровой подписью: Tinatin Enukidze
Дата: 2019.02.14 13:23:45 +04'00'

ხელმოწერა .....

შპს „იბერკომპანი“
საინდიფიკაციო კოდი 231963818
ბანკი- ს.ს „თიბისი ბანკი”
კოდი TBCBGE22
ანგარიშსწ. ანგარიში GE28TB7394736020100002

ბ.ა.